

კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირი "არტ-ფოლკი"

მურმან გამისონია: დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ავთენტური ფოლკლორის შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია.



კულტურისა და ხელოვნების განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებრივ თვითშეგნებასა და დახვეწაში. არსებობენ ადამიანები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდნენ ეროვნულ მოტივებს, ქმნიდნენ და ავითარებდნენ იმ ლირებულბებს, რაც ხელს უწყობდა კულტურული საკმარისობის ჩამოყალიბებას. ხალხი ხედავს შედეგს, მაგრამ ბევრმა არ იცის, რა ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ კულტურა და ხელოვნება განვითარდეს. ხშირად ისიც უცნობია, ვინ შეიძლება იხდეს ამ გვერდფარის უკან.

უკვე რამდენიმე წელია, რაც კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირი „არტ-ფოლკი“ დაარსდა, რომლის ორგანიზატორობით საქართველოში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო ფესტივალები.

„არტ-ფოლკი“ თანამშრომლობს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირთან და სარეგლობს შალალი რანჯის საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით. დავინტერესდით თუ ვინ დეკას ამ კეთილშობილური საქმიანობის უკან, რასაც ეროვნული საგანძურის შენარჩუნება - პოპულარიზაცია ჰქვია, და ასე აღმოვჩნდით ბატონ მურმანთან ინტერვიუზე.

მურმან გამისონია კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირ „არტ-ფოლკისა“ და კულტურის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი ვახლავთ. ამასთანავე წლებია საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობას იკავებს. იგი დაიბადა და გაიზარდა აფხაზეთში, დაბა არიგვარაში. მშობლიურ ადგილს დიდი სიამაყით და გულისტკივლით იხსენებს. პავშოპიდან შრომისმოყვარე და მიზანდასახული გახლდათ. სულ რაღაც 19 წლის ასაკში არიგვარას კულტურის სახლის დირექტორად აირჩიეს.

აფხაზეთის ომის დროს, როგორც გველას, მშობლიური მხარის დატოვება მოუხდა და ოჯახთან ერთად დედაქალაქს შეაფარა თავი. მურმან გამისონია პროფკავშირების მუშაკი იყო და სწორედ მათ წიაკითხა დახმარებისთვის.

- ბატონო მურმან, როგორ აღწერდით იმ რთულ, მაგრამ გამომდინარეობს სავსე პერიოდს, როდესაც აფხაზეთიდან თბილისში გადმოხვედნის, ცხოვრების თავიდან დასაწყისი მოგვხდა?

რასაკვირველია, რთული პერიოდის გადალახვა მომიხდა, მაგრამ ფარ-ხმალი არასდროს დამიყრია. თავდაუზოგავად ვმუშაობდი და გამოცდილებას ვეგროვებდი. პროფკავშირებში რეფერანტი, 23 წლის ასაკში ვახლდით. ხელმძღვანელობა, თანამშრომლები ხელს მიწყობდნენ, პროფესიული განვითარების შესაძლებლობა მომცეს. დაგვადიდა ყველა საქმიან შეხვედრაზე. ამ პერიოდის შემდეგ ვისწავლე არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო სპეციფიკა და პროფკავშირული თანამშრომლობა. აქედან გამომდინარე დიდი პრაქტიკა და სტაჟი დამიგროვდა. მათი წყალობით, დღესაც კი მახსოვს ურთიერთთანამშრომლობის ის ტიპი, რაც იმ პერიოდში არსებობდა.

- როდის შეიქმნა „არტ-ფოლკი“ და რა კავშირშია ის სხვა ორგანიზაციებთან?

არსებობდა ასეთი ორგანიზაცია - „დევნილები მშვიდობისათვის“, რომელმაც 15 წელი იფუნქციონირა. მისი ხელმძღვანელი ვახლდით. დღევანდელი „არტ-ფოლკი“ სწორედ მისი შვილობილი ორგანიზაციაა, რომელიც უკვე სამი წელია გვანებიერებს კულტურული ღონისძიებებით. ჩვენ პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირთან, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან, რომელსაც ზაზა მგავანაძე ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება „არტ-ფოლკს“, მსურს მთელი ჩემი გამოცდილება და ენერჯია ჩავდო ამ ორგანიზაციის წინსვლა-წარმატებაში. ყოველივე ამაში კი ჩემი საყრდენი ერთგული და პროფესიონალი თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული ძლიერი გუნდია. მინდა იცნობდე მათ. ესენია: ვოვა რუხაძე, მამუკა გამისონია, ურა ეზიშვილი, კახა შენგელია, მარიამ პაპასკირი, დავით გვალია, მანანა ბერიძე, თამარ გოგოშიძე, ლია ბახტაძე, პროფესორი ოლეგ ალავეიძე, გვანცა მარკოიშვილი, მანანა უშიკიშვილი, ზაურ პაპიაშვილი, თამუნა სერგია. ამ

გუნდთან ერთად შევექმნით კულტურის ინსტიტუტიც.

უანგაროდ ვაკეთებთ ქართულ საქმეს და ვემსახურებით ქართულ კულტურას. ჩვენთან, ერთი ადამიანი ათის საქმეს აგვარებს, ამას მხოლოდ საქმის სიყვარული თუ შევადლებინებს. ჩვენ ვართ შეკრული გუნდი, პარტნიორებთან ერთად.

სამწუხაროა, რომ სახელმწიფოში არ არსებობს ტენიკური თვალსაზრისით სასწავლებელი, რომელიც უკვე პროფესიონალ ქორეოგრაფებს შემოგვთავაზებს, არც რაიმე ხელშემწყობი პროგრამები ხორციელდება ამ მიმართულებით. აქედან გამომდინარე, საკუთარი რესურსებით ვცდილობთ მოვამზადოთ მომავალი ქორეოგრაფები, რეგისორის ასისტენტები და ა. შ.

გვყავს ძლიერი სპეციალისტები, აი, მაგალითად, უძლიერესი ქორეოგრაფი, 1998 წელს ანსამბლ „მამულის“ შემქმნელი ზაურ პაპიაშვილი. წარმოიდგინეთ, სულ ახალი დაწყებული გვაქვს სწავლა და 25 ოქტომბერს უკვე ახალი ნაკადისგან ახალი ცეკვა



ანსამბლ არტ-ფოლკი საქართველო
ENSEMBLE ART-FOLK SAKARTVELO

ვიზილით. ასეთი ხალხი რომ ვეყოლება გვერდით, საქმეს აუცილებლად გააკეთებ. აუცილებლად ვიტყვით ჩვენს სიტყვას ქართულ კულტურასა და ქორეოგრაფიაში.

როგორ ფიქრობთ, რა არის ორგანიზაციის წარმატების მთავარი მიზეზი?

ორგანიზაციას ჰყავს ძლიერი გუნდი. უმთავრესი კი ის მეგობრობა და ურთიერთშარდაჭერაა, რაც გვაერთიანებს. სწორედ ეს წარმოადგენს ჩვენი მუშაობის ხარისხის მთავარ საიდუმლოს. მავალითად, კახა მარკოიშვილის მუშაობა ათი კაცის მუშაობას უდრის.



რა ტიპის პროექტებს აერთიანებს „არტ ფოლკი“?

„არტ ფოლკი“, როგორც უკვე ვახსენე, სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობს. მათთან ერთად კეთდება საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალები, როგორცაა: „შემოდგომის რიტმები“, „ვაზაფხულის რიტმები“, „არტ-ფოლკ ფესტივალი“, „არტ-ფოლკ ფესტი“, „კავკასია“; ასევე ვერთვებით სხვა ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ პროექტებში, ოლიმპიადებში და ა.შ. ვთანამშრომლობთ ბალეტისპირეთთან, ისრაელთან, ბელორუსიასთან.

როგორ და რა კუთხით დაინყეთ თანამშრომლობა აჭარის კულტურის სამინისტროსთან?

აღრე ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა აჭარის რეგიონში. ეს შეხვედრა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა აჭარის ხელისუფლებასთან. მათ სწორად შეაფასეს ჩვენი პოტენციალი. საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მუშაობა ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან მიმართებაში კი ვახდა მორიგი მიზეზი იმისა, რომ აჭარის კულტურის სამინისტროსთან მეგობრული ურთიერთობა დაგვეწყარებინა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველ წელს ატარებს სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადას. წელს, ალბიშნული ღონისძიება სამინისტროსა და საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით ჩატარდა, რომლის ფარგლებში გაიმართა საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლების პრინციპულ-სერტიფიცირება. ოლიმპიადას პარტნიორობას უწევდა კულტურისა და ხელოვნების განვითარების კავშირი „არტ-ფოლკი“, კულტურის ინსტიტუტი და ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი.

რამდენი ქორეოგრაფიული კოლექტივი არსებობს საქართველოში და რომელი კავშირი უნევს მათ კურატორობას?

საქართველოში 5000 - მდე ქორეოგრაფიული კოლექტივი არსებობს. ყველა სკოლაში, დაბაას თუ კულტურის ცენტრში შექმნილია ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომლებსაც კურატორობას ქორეოგრაფთა კავშირი უწევს.

მოგახსენებთ, 2011 წელს საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირმა სიცოცხლის ახალი ხანა დაიწყო და დღეს ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაციაა. არც სკამი გვექონდა, არც მავიდა, ფაქტობრივად, არაფრისგან შევექმენით ორგანიზაცია. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ რეზო ჭანიშვილს, რომ შემავალია და გავაქეთ ის, რაც უნდა ვამეკეთებინა.

იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში უცხოელი სტუმრის ჩამოყვანა დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. საქართვე-

ლოს ქორეოგრაფთა კავშირს უამრავი სტუმარი ჰყავდა, კეთდებოდა კონკურსები, ფესტივალები...

გქონდათ თუ არა მოღვაწეობის გაგრძელების შანსი უცხოეთში და რამ გიბიძგათ, რომ დარჩენილიყავით საქართველოში? როგორ გვინათ, ჩემი სამშობლო არ მიყვარს?!

1993 წლის შემდეგ მე შემძლო მომეკიდა ხელი ჩემი შვილებისთვის და წავსულიყავი გერმანიაში, ესპანეთში. მაგრამ, როგორც ხედავთ, ეს გადაწყვეტილება არ მივიღე. შირსა და ლბინში საკუთარ ქვეყანაში ცხოვრებას ვარჩევ. სხვაგვარად არც არასდროს მიფიქრია.

რა ფესტივალების გამართვას გეგმავთ 2020 წლისთვის?

განერილი ვეგმის მიხედვით, წელს ჩატარდება საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია; საერთაშორისო ფესტივალი „ვაზაფხულის რიტმები“, „არტ-ფოლკ ფესტივალი“, საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „კავკასია“.

ასევე ძალიან საინტერესო სიახლის შესახებ მინდა გაცნობოთ. წელს ყატარში უზარმაზარი სამეფო სტადიონი გაიხსნა. ჩვენ ვგონდა პატივი ვახსნის ღონისძიებაზე მივევლო მონაწილეობა, სადაც თავად მეფე ესწრებოდა.

ყატარი ჩვენი პარტნიორია როგორც ხელოვნების, ისე სხვაგვარების კუთხით.

მოგახსენებთ, 2022 წელს ყატარში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი ტარდება. ვფიქრობ, ვახსნის ცერემონიაში ჩვენც ვიქნებით ჩართული.

საკმაოდ დიდი მეგობრობა გვაკავშირებს უკრაინასთან. ყოველწლიურად 300-400 ახალგაზრდას ვმასპინძლობთ სხვადასხვა ფესტივალების დროს. ასევე ვთანამშრომლობთ სომხეთთან, არტურ ევოიანის და ამალია ასატრიანის „შოუ-ბალეტთან“. უახლოეს მომავალში ვასვლით ღონისძიება გვაქვს დაგვემზიოთ ერევანში. ასევე ვამირებთ ვიზიტს ინდოეთში, სადაც ერთიკური ფესტივალის ვახსნაზე ჩვენი ინდური ცეკვების პატარა და ყველასათვის საყვარელი მოცეკვავე ქრისტიანე კაპანაძე წარსდგება.

2020 წლიდან კიდევ უფრო დიდი გეგმები გვაქვს და გუნდის ერთიანობით, შერეულობით და შემართებით მივყვებით განხროლ პროგრამას.

რა წარმოადგენს ამ ფესტივალების მთავარ მიზანს?

ფესტივალების ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი



ხელს უწყობს ფოლკლორული ხელოვნების განვითარებასა და მსოფლიო ფოლკლორული კულტურის პოპულარიზაციას. ხდება ფესტივალის მონაწილეთა შორის გამოცდილების გაცვლა, ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის ვრძობის გაძლიერება, ხელოვნთა შორის კონტაქტების ვალრმაგება, ქორეოგრაფთა კვალიფიკაციის ღონის ამაღლება.

მორმან გამოსონა მადლობას უხდის გუნდის ყველა წევრს, ასევე საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირს, ბატონ რეზო ჭანიშვილს; აჭარის კულტურის სამინისტროს, აჭარის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრს, ბათუმის საგანგებო თვტარის დირექციას, ქალაქ თბილისის მერიასა და ყველა მათ გულმემატკივარს.